

**ათონის მრავალთავის
ერთი მინაწერის საიდუმლო
MYSTERY OF A NOTE
IN THE ATHOS POLYCEPHALON**

ირინა ნაცვლიშვილი

თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის
სახელმწიფო უნივერსიტეტი
შოთა რუსთაველის სახელობის ქართული
ლიტერატურის ინსტიტუტი
თბილისი, საქართველო

Irina Natsvlishvili

Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Shota Rustaveli Institute of Georgian Literature
Tbilisi, Georgia

ABSTRACT

The Athos Polycephalon, dating back to the 10th century, has garnered special attention from researchers since its discovery. It offers a unique opportunity to draw significant conclusions about the historical and cultural spaces of Tao-Klarjeti. Additionally, it includes texts that have not been preserved in other manuscript forms. One such text is ‘The Martyrdom of the Children of Kola,’ which recounts the intense story of the struggle between idolatry and Christianity in the Kola Valley.

Dating the text or its alleged written source with more or less accuracy would offer an in-depth understanding of crucial issues within the context of Georgian historical and religious culture. However, this task has eluded scholars for almost two centuries. In this regard, we believe the inscription made on the margin of the Athos manuscript is of utmost importance. According to this inscription, the Children of Kola were tortured “during the time of the rule of Dorime, master of Samtskhe, who was an Idolater by belief.” Unfortunately, this information has not received proper attention in scholarly literature, even though it adds valuable insights into the political-geographical domain of the text and the chronology of the events within it. In our opinion, it is connected to other inscriptions on the manuscript featuring the bishop Arseni, which we believe should have been copied from the original. The inscriptions, along with information from other sources, have allowed us to pose some logical questions, specifically, whether Arseni, the bishop in the manuscript, could have been a disciple of Grigol Khandzteli, who was appointed as the Catholicos of Kartli in the second half of the 9th century. In this context, it should also be considered that, being from Samtskhe and the son of a nobleman of Samtskhe, he had access to

ancestral chronicles or records of that area that may be unknown to us. In our opinion, the author of the inscription about Dorime should be either a monk who moved from the Tao-Klarjeti Monastery to Mount Athos or a figure from the Mount Athos of Samtskhe origin, specifically from the Chorchanel-Chordvaneli circle. They could have had access to this information through genealogical chronicles of Samtskhe feudal lords or from other sources.

საკვანძო სიტყვები: ქართული ხელნაწერები, ძველი ქართული საეკლესიო მწერლობა, ათონის მრავალთავი (X ს.).

Keywords: Georgian manuscripts, Old Georgian ecclesiastical literature, the Athos Polycephalon (10th century).

ათონის X საუკუნით დათარიღებულმა მრავალთავმა მისი აღმოჩენისთანავე მიიპყრო მკვლევართა განსაკუთრებული ყურადღება, ვინაიდან ის ტაოკლარჯული ისტორიულ-კულტურული სივრცის შესაფასებლად მნიშვნელოვანი დასკვნების გამოტანის საშუალებას იძლევა; აგრეთვე, შეიცავს ისეთ ტექსტებს, რომლებიც სხვა ხელნაწერებით არ შემონახულა. ერთ-ერთი მათგანია „კოლაელი ყრმების მარტვილობა“, რომელიც კოლის ხეობაში ქრისტიანობასთან წარმართობის ბრძოლის მძაფრ სურათს ასახავს.

თხზულების შესახებ ცნობა პირველად სოლომონ მეორის სულიერი მოძღვრის, ილარიონ ხუცესის, მიერ XIX საუკუნის 30-იან წლებში შედგენილ ათონური კოლექციის აღწერილობაში ჩნდება, რომელიც ა. ცაგარელს სამეგრელოს თავად ნიკოლოზ დადიანის წიგნსაცავში უნახავს და გადმოუწერია. მკვლევარი აღნიშნავს, რომ ეს აღწერილობა, ორი სხვა ხელნაწერის მიხედვით, ფრანგულად თარგმნა მ. ბროსემ, თარგმანი კი 1867 წელს გამოქვეყნდა ჟურნალ *Asiatique*-ის IX ნომერში (Цагарели 1886: XIII-XX). როგორც მ. ბროსეს სხვა ნაშრომიდან ირკვევა, მას ამ კატალოგის შესახებ ცნობა 30-იანი წლების მიწურულიდანვე ჰქონია – შესავალში წიგნისა *Каталог книгм Эчмиадинской библиотеки* იგი აქვეყნებს ფრაგმენტს ნ. ჩუბინაშვილის წერილისა, რომელიც მას 1938 წელს დ. ჩუბინაშვილისთვის მიუწერია: „შევხვდი ერთ ბერძენ არქიმანდრიტს, რომელსაც ჰქონდა ათონის მთის ივერთა მონასტრის 288 ქართული წიგნის ხელნაწერი სია. მათ შორის 20 ქართველი მოწამეების ცხოვრება: 1. წმ. აბოსი 2. წმ. ძმები კოლაელებისა – ადგილია მტკვრის ხეობაში 3. წმ. დავითისა და წმ. ტარიჰანისა... ვფიქრობ, ეს წიგნები არ არის საქართველოში, ხოლო კატალოგით ჩანს, რომ არის წმინდა მთაზე. ის შედგენილია ერთი იმერელი ბერის, ილარიონის, მიერ, რომელიც იყო მეფე სოლომონ II-ის მოძღვარი, ახლა კი ცხოვრობს ივერიის მონასტერში“ (Броссе 1840: 58-59). მიუხედავად „კოლაელი ყრმების წამების“, როგორც მანამდე უცნობი ტექსტის, შესახებ გამოჩენილი ცნობებისა, თავად თხზულების შინაარსი და რაობა გაურკვეველი დარჩა, ვიდრე არ გამოქვეყნდა პ. იოსელიანის მნიშვნელოვანი ნაშრომი, რომელშიც ავტორი აღნიშნავს, რომ ათონის მთის ივერიის მონასტრის წიგნებში მან აღმოაჩინა

ისეთი უძველესი დღესასწაულები, რომლებიც არ არის შეტანილი ქართული ეკლესიის საყოველთაო კალენდარში. მათ შორის ასახელებს მტკვრის სანაპიროზე წამებული ცხრა ძმა კოლაელის ხსენებას, რომელიც 22 თებერვალს ყოფილა დაწესებული. სქოლიოში პ. იოსელიანი მიუთითებს, რომ ცხოვრება ამ წმინდანებისა, რომლებიც **მოინათლნენ ახალციხის მხარეში**, მტკვრის დინების გასწვრივ მდებარე კოლის ხეობაში, მან იპოვა ივერიის პორტაიტის სავანეში და გადმოიწერა; მის შემქმნელად ნუსხაში დასახელებულია არსენი, როგორც ჩანს, დავით აღმაშენებლის სულიერი მოძღვარი. მკვლევარი აქვე გადმოსცემს თხზულების მოკლე შინაარსს და აღნიშნავს, რომ არ არის მითითებული წამებულთა აღსასრულის თარიღი. ამასთან დაკავშირებით იგი ყურადღებას ამახვილებს სხვა ხელით, ხუცური დამწერლობით შესრულებულ მინაწერზე, რომლის მიხედვითაც, ამზავი მოხდა „**ჟამსა დორიმეს სამცხეს პატრონისსა**, რომელი იყო რწმენით კერპთაყვანისმცემელი“ (Иоселиани 1850: 15-16).

რაც შეეხება თავად ილარიონ ბერის კატალოგს, ის პირველად გამოაქვეყნა ალ. ცაგარელმა, როგორც დანართი (Цагарели 1886: დან. 1, 1-16) მის მიერ რამდენიმე ქართული კოლექციის, მათ შორის ათონურის, მიხედვით შედგენილი ბიბლიოგრაფიული მიმოხილვისა. ამჟამბლიკაციაში ათონის X საუკუნის მრავალთავის შესახებ მკვლევარი აღნიშნავს, რომ ხელნაწერის ბოლოს არის არსენის, ნინოწმინდის ეპისკოპოსის, ჩანაწერი (Цагарели 1886: 84).

1900 წელს იგივე მრავალთავი აღწერა ნ. მარმა. ბოლოს დართულ ინფორმაციაში მკვლევარი ყურადღებას ამახვილებს მინაწერებზე, რომელთა შორის ერთ-ერთი „კოლაელი ყრმების წამების“ ვრცელი სათაურის ქვეშაა განთავსებული: „ქრისტე, ადიდე არსენი, ამენ“. ნ. მარის დაკვირვებით, ამგვარი შინაარსის, თუმცა რედაქციულად რამდენადმე განსხვავებული მითითებები ახლავს კრებულში შეტანილ ზოგიერთ სხვა ტექსტსაც და ერთვის ხელნაწერს ბოლოშიც; რიგ შემთხვევებში ფრაზა უფრო ვრცელია და არსენი მამამთავრად ან ეპისკოპოსად არის მოხსენიებული. მეცნიერი გამორიცხავს, რომ ეს მითითებები ეკუთვნოდეს თავად ვინმე არსენს, ეპისკოპოსსა თუ მთავარეპისკოპოსს – პატრიარქს, მით უმეტეს არსად არის მინიშნება არსენ ნინოწმინდელზე, როგორც, ნ. მარის თქმით, ამტკიცებდა პროფ. ალ. ცაგარელი (Март 1900: 70-71). ხელნაწერს ბოლოს დართული აქვს სავედრებელი: „წმიდანო ქრისტე მოწამენო მეოჯ ყვევნით დღესა მას საშჯელისასა არსენი ეპისკოპოსსა მმითურთ ამჟნ“. სწორედ ამ უკანასკნელს მიიჩნევდა ალ. ცაგარელი არსენ ნინოწმინდელის ჩანაწერად (Цагарели 1886: 84).

უნდა აღინიშნოს, რომ რიგი ტექსტების სათაურების ქვეშ არსენზე მითითება, უდავოდ, მოწამეთა ამ წიგნებთან მისი რაიმე სახის კავშირის მანიშნებელია – ავტორობის, მთარგმნელობის, მოპოვების, შეკრებისა თუ სხვა, მით უმეტეს, რომ ზოგიერთი ჩანაწერი ასეთ ცნობებს შეიცავს: „...არსენი მამათ მთავარი მადიდებელი წმიდათა მოწამეთა...“, „...მადიდებელი წმიდათა შენთა მოწამეთა...“ ამ საკითხის თაობაზე ნ. მარი წიგნში არანაირ კომენტარს არ აკეთებს. როგორც ჩანს, მეცნიერი მნიშვნელოვნად არ მიიჩნევს ათონის კრებულში არსენის სახელის შემცველი, ჩვენი აზრით,

საგულისხმო ჩანაწერის არსებობას „ცხრა კოლაელი ყრმის წამებასთან“ დაკავშირებითაც, ვინაიდან 1903 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში არ ახსენებს მას არც თხზულების მცირე მიმოხილვაში და არც გადმოაქვს ის თანდართულ ქართულ ტექსტსა თუ მის პარალელურად, მეორე სვეტად დაბეჭდილ რუსულ თარგმანში (Mapp 1903: 53-61).

ერთმნიშვნელოვნად შეიძლება ითქვას, რომ „კოლაელი ყრმების მარტვილობის“ გაცნობისადამისის სამეცნიერო სივრცეში შემოტანის პირველ ეტაპზე თხზულების ნორჩი გმირები ქართველებად არიან მოხსენიებულნი ან, სულ მცირე, ამბავი თუ ტექსტი ქართული გეოგრაფიული და კულტურული სივრცის ნაწილად არის მიჩნეული; მაგრამ მისი შესწავლისა და შეფასების დისკურსმა ნ. მარის ნაშრომების გამოქვეყნების შემდეგ განსხვავებული მიმართულება შეიძინა, თუმცა ეს თხზულება მაინც ვერ მოწყვიტა ორიგინალური ქართული მწერლობის ნიადაგს.

„კოლაელი ყრმების მარტვილობის“ წარმომავლობის პრობლემა მჭიდროდ უკავშირდება კოლის, როგორც გეოგრაფიული სივრცის, სახელმწიფოებრივი კუთვნილებისა და ტექსტში აღწერილი მოვლენების მეტ-ნაკლებად ზუსტი თარიღის განსაზღვრას, ვინაიდან, წყაროების მიხედვით, თითქოს ეთნიკურად და პოლიტიკურად ისტორიული ქართული კუთხე კოლა, ისევე როგორც იბერია/ქართლის სხვა მიწების ნაწილი, ძვ. წ.-ად-ის II საუკუნეში დაიპყრო და მიიტაცა მეზობელმა სომხეთმა. როდის დაბრუნდა კვლავ ზემო ქართლის საზღვრებში საკუთრივ კოლა, რთული სათქმელია, მაგრამ ფაქტია, რომ VIII საუკუნის მეორე ნახევრისთვის, გრიგოლ ხანძთელის მოღვაწეობის პერიოდისთვის, ტაო-კლარჯეთის მხარე (ფართო მნიშვნელობით – სამხრეთ-დასავლეთ საქართველო) პოლიტიკურად თუ კულტურულად სრულიად „ქართულია“

რაც შეეხება თხზულების დაწერისა თუ მასში აღწერილი მოვლენების თარიღს, სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმული სხვადასხვა მოსაზრების მიხედვით, ის საკმაოდ ვრცელი პერიოდის განსხვავებულ ნიშნულებს მოიცავს – II-დან IX საუკუნემდე.

ჩვენი აზრით, „კოლაელი ყრმების წამებაში“ განვითარებული ამბავი ქართლში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების შემდგომდროინდელ და არა უწინარეს ხანას უკავშირდება (უპირატესად IV-VI სს.). ასეთი შეხედულება განმტკიცდა თხზულების შესწავლის საწყის ეტაპზეც და ასე ფიქრობს დღესაც მკვლევართა უმრავლესობა; ათონის X საუკუნის მრავალთავის ნუსხაში შეტანილი ტექსტი, რასაკვირველია, პირვანდელი სახით არ არის დაცული. ამაზე მეტყველებს ბევრი გარემოება. არსებული მასალები და ისტორიული ვითარება გვაფიქრებინებს, რომ IX საუკუნეში, როცა ტაო-კლარჯეთში ფართოდ გაიშალა არა მხოლოდ სამონასტრო, არამედ კულტურული აღმშენებლობა, რომელიც მრავალ სხვა ასპექტთან ერთად მოიცავდა ადგილობრივი ქრისტიანული წარსულის სურათის აღდგენას, ინტენსიურად დაიწყო წმინდანთა შესახებ მასალების, ჩანაწერებისა თუ სხვა სახის წყაროების მოძიება. ჩვენს ვარაუდს, ვფიქრობთ, ამყარებს XI საუკუნეში კლარჯეთში გადაწერილი სვინაქსარი, რომელსაც ყურადღება მიაქცია პ. ინგოროყვამ. მეცნიერის დაკვირვებით,

ეს ნუსხა შეიცავს გიორგი მთაწმინდელის ათონური სვინაქსარის ტექსტს, რომელშიც არ არის შეტანილი ლოკალური ქართველი წმინდანების ხსენება; ამიტომ რედაქტორს უსარგებლია კლარჯეთში მიღებული რომელიღაც სხვა სვინაქსარით და იქიდან ამოუღია ცნობები, რომლებიც დედნისვე ხელით მიწერილია აშიაზე. ეს ექსცერპტი შეიცავს სულ 18 ხსენებას, მათ შორის – „ცხრათა ყრმათა კოლაელთა“. მკვლევარი ყურადღებას აქცევს იმ გარემოებას, რომ ექსცერპტში არ არის შეტანილი ხსენება არათუ გარეშე, არამედ თვით კლარჯეთში მოღვაწე პირებისა გრიგოლ ხანძთელის შემდეგ, რაც ადასტურებს, რომ ის მე-9 საუკუნის მეორე ნახევრის დედანზეა დამოკიდებული (ინგოროყვა 1939: 246-248).

საიდან უნდა გაჩენილიყო IX საუკუნის მეორე ნახევარში კლარჯეთში მიღებულ რომელიღაც სვინაქსარში კოლაელ ყრმათა ხსენება? რა ტიპის ცნობა ან ტექსტი შეიძლებაოდა ამ დროს მათ შესახებ არსებულიყო? – იქნებ სწორედ ის სვინაქსარული ხასიათის საკითხავი, რომელიც შეტანილია X საუკუნის ათონის მრავალთავში და, მკვლევართა უმრავლესობის აზრით, ამ სახით სწორედ IX საუკუნეში უნდა იყოს შექმნილი? ხომ არ შეიძლება დავუშვათ, რომ ათონის ნუსხაში საეკლესიო ხარისხის აღმნიშვნელი სხვადასხვა ატრიბუტული მსაზღვრელით (ეპისკოპოსი, მამად მთავარი, მეუფეთა მეუფე) ან მათ გარეშე რამდენჯერმე მოხსენიებული არსენი, მათ შორის „კოლაელ ყრმათა მარტვილობის“ ტექსტის მინაწერშიც, **გრიგოლ ხანძთელის მოწაფე, IX საუკუნის მეორე ნახევარში ქართლის კათალიკოსად აღსაყდრებული არსენია?** მით უმეტეს, რომ ის **სამცხიდან იყო**, ათონის მრავალთავის აშიაზე გაკეთებული მინაწერით კი კოლაელი ყრმების წამების **ამბავი სამცხეში** ვინმე დორიმეს მთავრობის პერიოდით არის დათარიღებული (Иоселиани 1850: 16). თუ ჩვენი ვარაუდი შეიძლება სიმართლეს შეესაბამებოდეს, მაშინ ადვილად დასაშვებია, რომ გრიგოლ ხანძთელის მოწაფე არსენს, როგორც სამცხის დიდაზნაურის შვილს, ხელი მიუწვდებოდა იმ მხარის საგვარეულო, ჩვენთვის უცნობ ქრონიკებსა თუ ჩანაწერებზე, რომლებშიც მოსალოდნელია ყოფილიყო რაიმე ტიპის ცნობა, ათონის მრავალთავის მინაწერის მიხედვით, სამცხის მთავრის იურისდიქციაში შემავალ კოლის ხეობაში ყრმათა გაქრისტიანების გამო დატრიალებული ტრაგედიის შესახებ. ვფიქრობთ, გრიგოლ ხანძთელის მოწაფე არსენთან მიმართებით უხერხულობას არც ის ქმნის, რომ მინაწერებში არსენი ხან მხოლოდ სახელით მოიხსენიება, ხან – ეპისკოპოსად, ხან კი – მამამთავრად თუ მეუფეთა მეუფედ. გიორგი მერჩულის ტექსტში არ არის არანაირი ცნობა იმის შესახებ, რა გზა გაიარა არსენმა ხანძთის ბერობიდან ქართლის კათალიკოსობამდე. ამ ბუნდოვანების ფონზე ყურადღებას აქცევს „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების“ ტექსტის ერთი ეპიზოდი: „არამედ... ღირსნი არსენი და ეფრემ... მოვიკსენნეთ, რომელნიცა სათნო-იყვნა ნებამან ღმრთისამან მწყემსთ-მთავრად სამცხოთა მათ თჳსთა პირმეტყუელთა. რამეთუ დიდი ეფრემ, უწინარეს მრავლით წლით არსენისსა, იქმნა ეპისკოპოს აწყურისა საყდარსა სამცხეს. ხოლო შემდგომად დიდი არსენი კათოლიკე ეკლესიასა, ქრისტეს კუართისა სამკჳდრებელსა, მცხეთას,

ქართლის კათალიკოზ იქმნა“ (ძეგლები 1964: 286). ამ ამონარიდის წაკითხვა ტრადიციულისგან განსხვავებული ინტერპრეტირებითაც შეიძლება: ეფრემი არსენზე ადრე გახდა ეპისკოპოსი (ე. ი. არსენის ეპისკოპოსობამდე), მათ თავ-თავიანთი სამწყსო ჰყავდათ („სათნო-იყვნა...მწყემსთ-მთავრად სამყსოთა მათ თვსთა“), სხვადასხვა ეპარქია ებარათ, ხოლო არსენი შემდეგ (შემდგომად) გახდა კათალიკოსი. ტექსტის ამგვარი წაკითხვა, ჩვენი აზრით, არ ეწინააღმდეგება ენის გრამატულ ლოგიკას, თუმცა იმის გამო, რომ „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“ ერთადერთი არასრული და არცთუ ძალიან კარგად შენახული ხელნაწერით არის მოღწეული, რამის მტკიცება, ცხადია, რთულია. თუ ათონის X საუკუნის მრავალთავში დადასტურებული არსენი მართლაც გრიგოლ ხანძთელის მოწაფე, შემდგომ ქართლის კათალიკოსი არსენია, მას დიდი შრომა გაუწევია ტაოკლარჯელ მოწამეთა შესახებ მასალების შეკრებისა თუ იმ IX საუკუნის კრებულის შედგენისთვის, რომელიც, როგორც გარკვეულია, დედნად ჰქონია ათონის მრავალთავის გადამწერს.

ნ. მარის აღწერის მიხედვით, არსენის სახელი არაერთხელ ჩნდება ათონური წუსხის ასომთავრულით შესრულებულ მინაწერებში, რომლებიც მას, სავარაუდოდ, ასევე ასომთავრულით დაწერილი დედნიდან უნდა გადმოჰყოლოდა (Mapp 1900: 70-71). რაც შეეხება ანალოგიური შინაარსისა და სტილის ერთადერთ მინაწერს, რომელშიც იხსენიება ვინმე გიორგი, ნ. მარის ვარაუდით, ის შეიძლება ათონის კრებულის პირველი ნაწილის გადამწერი იყოს (იქვე: 47); თუმცა, ჩვენი დაკვირვებით, ამ ხელითვე შესრულებულ ნაწილშია მოქცეული რამდენიმე თხზულება არსენის სახელის შემცველი მინაწერებით. ასე რომ, ორი სხვადასხვა ხელწერით შესრულებული წუსხა არ იძლევა იმის საფუძველს, რომ ამ ორი პირიდან ერთი პირველი ნაწილის, ხოლო მეორე შემდგომის გადამწერად მივიჩნიოთ. გამოვთქვამთ კიდევ ერთ ვარაუდს: ხომ არ არის ეს გიორგი ძმა (ან სულიერი ძმა) არსენისა, რომლის შესახებაც გვამცნობს კრებულის დასასრულის მინაწერი: „წ~ნო ქ~ჭს მოწამენო მეოხ ეყვენით დღესა მას საშ~ჯელისასა არსენი ეპისკოპო[ს]სა მმითურთ ა~ნ:“ (იქვე: 71). კონკრეტულად რა როლი უნდა ჰქონოდათ მათ ამ კრებულის ან უფრო მისი დედნის შედგენაში, ცხადია, რთული სათქმელია.

რაც შეეხება ათონის მრავალთავში „კოლაელ ყრმათა მარტვილობის“ ტექსტთან, **აშიაზე, არადედნისეული ხელით გაკეთებულ მინაწერს დორიმე მთავრის შესახებ**, ვფიქრობთ, ის, უპირველეს ყოვლისა, საინტერესოა იმით, რომ მიგვითითებს კოლაზე, როგორც სამცხის ადმინისტრაციული ერთეულის ნაწილზე ყრმათა წამების ქრონოლოგიური პერიოდისთვის; ამასთანავე, ეს მინაწერი მნიშვნელოვან სამსახურს გაგვიწევს „მარტვილობაში“ განვითარებული მოვლენების უფრო ზუსტად დათარიღებაში. მართალია, პ. იოსელიანი აღნიშნავდა, რომ არც ქართულ მატიაწეებში და არც სამცხის აქტებში ამ მხარის მფლობელი, სახელად დორიმე, არ შეხვედრია (Иоселиани 1850: სქ. 16), მაგრამ დღეს, საუკუნე-ნახევრის შემდეგ, წყაროთა გაცილებით მეტი ხელმისაწვდომობის პირობებში, კვლევა შეიძლება ამ მიმართულებითაც წარიმართოს.

საფიქრებელია, რომ მინაწერის ავტორი 1) ან ტაოკლარჯული სამონასტრო სივრციდან ათონზე გადასული ბერია, რომელიც იცნობს X საუკუნის მრავალთავის დედანს ან მისგან მომდინარე თუ მის საფუძვლად ქცეულ სხვა ხელნაწერს, რომელშიც მთავრის სახელი აღნიშნული იყო, ათონის კრებულში კი გაურკვეველი მიზეზის გამო აღარ აღმოჩნდა; 2) ან სამცხელი წარმომავლობის მოღვაწეა, კერძოდ, ჩორჩანელ-ჩორდვანელთა წრიდან, რამდენადაც მას ეს ცნობა შეიძლება სამცხის ფეოდალთა საგვარეულო ქრონიკებიდან თუ სხვა ტიპის დოკუმენტური წყაროებიდან ჰქონოდა ან თუნდაც ზეპირი ტრადიციით სცოდნოდა. ცნობილია, რომ სამცხეს VII-IX საუკუნეებიდან სწორედ ჩორჩანელთა საგვარეულო განაგებს, რომლის განშტოება, ჩორდვანელთა სახლი, X საუკუნის დამდეგიდან ტაოში დამკვიდრებულა. ჩორდვანელებს, რომელთა წარმომადგენლები იყვნენ თორნიკე ერისთავი და იოანე ვარაზაჩი, უკავშირდება „ივირონი“ – კტიტორული მონასტერი ათონზე, რომელმაც შემოინახა სწორედ „კოლაელი ყრმების მარტილობის“ ერთადერთი ჩვენამდე მოღწეული ნუსხა. საგულისხმოა, რომ 981 წელს ტაოდან ათონზე თორნიკესთან ერთად გაემგზავრა ჩორდვანელ მოღვაწეთა „მთელი ჯგუფი... ესენი იყვნენ სწავლული წარჩინებული მონაზვნები, რომლებმაც იმთავითვე განსაზღვრეს ათონის ქართველთა მონასტრის კულტურული როლი“ (ცაგარეიშვილი).

როგორც აღვნიშნეთ, „კოლაელი ყრმების წამება“ მოღწეული სახით ამ თხზულების პირვანდელი რედაქცია არ არის. რა გზა განვლო მან ათონის X საუკუნის მრავალთავამდე ან თუნდაც მის სავარაუდო IX საუკუნის დედნამდე, ამის დადგენა სხვა ნუსხათა არარსებობის გამო, ფაქტობრივად შეუძლებელია; მაგრამ ვფიქრობთ, ტექსტი კოლაელ ყრმათა მოწამეობრივი აღსასრულის ამსახველ რომელიღაც ძველ წერილობით წყაროს უნდა ეფუძნებოდეს, რომლის კვალიც მას რიგ დეტალებში მაინც შემოუნახავს. მათ შორის უნდა მოვიაზროთ მინაწერიც სამცხის კერპთაყვანისმცემელი მთავრის, დორიმეს, შესახებ.

დასასრულ, მიუხედავად იმისა, რომ „კოლაელი ყრმების წამება“ მოცულობით საკმაოდ მცირე ტექსტია, ის სიტყვაძუნწად ინახავს საქართველოს ისტორიის ძალიან საინტერესო, თუმცა უცნობ და მცირედ შესწავლილ წარსულს, რომელიც არა მხოლოდ წარმართულ კულტურას, მისი დამღევის სირთულეებსა და ქვეყნის ქრისტიანიზაციის პროცესს უკავშირდება, არამედ ქართული მწერლობის, თუნდაც საკუთრივ ქრისტიანულის, დასაბამის პრობლემასაც და, რა თქმა უნდა, მარადიულ ძიებას – „საიდან მოვდივართ“.

დამოწმებული ლიტერატურა

ინგოროყვა 1939: ინგოროყვა პ., ქართული მწერლობის ისტორიის მოკლე მიმოხილვა, წერილი მესამე, ჟურნალი „მნათობი“, 1939, №10-11.

ცაგარეიშვილი: ცაგარეიშვილი ე., ჩორდვანელები // ჩორჩანელები. ფეოდალური საგვარეულო X ს. საქართველოში, <https://qim.ge/chordvanelebu.html> დამოწმება: 18.05.2023.

ძეგლები 1964: ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წიგნი I (V-X სს.). გამოსაცემად მოამზადეს ილ. აბულაძემ, ნ. ათანელიშვილმა, ნ. გოგუაძემ, ლ. ქაჯაიამ, ც. ქურციკიძემ, ც. ჭანკიევმა და ც. ჯღამაიამ. ილ. აბულაძის ხელმძღვანელობითა და რედაქციით. თბილისი, 1964.

Броссе 1840: Броссе М., Каталог книгм Эчмиадзинской библиотеки. Санкт-петербург, 1840.

Иоселиани 1850: Иоселиани П., Жизнеописание святых прославляемых Православною грузинскою церковию, Составленное на основании древних и современных сведений с историческими, географическими, хронологическими и филологическими замечаниями. Тифлис, 1850.

Март 1900: Март Н., Агиографические материалы по грузинскимъ рукописямъ Ивера, Часть первая, Описание пяти пергаментныхъ рукописей. Санкт-петербург, 1900.

Март 1903: Март Н. , Мелкие статьи. Мученичество девяти отроков колайцев: Тексты и разыскания по армяно-грузинской филологии, Кн. V. Санкт-петербург, 1903.

Цагарели 1886: Цагарели А., Сведения о памятниках грузинской письменности. Санкт-петербург, 1886.